

## Erasmus Mundus Joint Master Degrees (EMJMDs)

### რა უნდა ვიცოდეთ ერაზმუსის სამაგისტრო პროგრამების შესახებ?

#### პროგრამის არსი:

ევროკავშირი Erasmus+ პროგრამის ფარგლებში აფინანსებს ევროპის სულ მცირე სამი ქვეყნის უნივერსიტეტების მიერ შემუშავებულ სამაგისტრო პროგრამებს. კერძოდ, საგრანტო თანხა ფარავს ამ პროგრამების განხორციელების ადმინისტრაციულ ხარჯებს და სტუდენტთა სტიპენდიებს. პროგრამის მომზადებასა და განხორციელებაში შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს ასევე არაევროპულმა ქვეყნის უნივერსიტეტმაც. ევროპული უნივერსიტეტები წარადგენენ მათ მიერ მომზადებულ სამაგისტრო პროგრამებს ერაზმუსის კონკურსზე და გამარჯვების/დაფინანსების შემთხვევაში აცხადებენ სტუდენტების მიღებას გვიან შემოდგომაზე (*კონკურსის ვადები განსხვავებულია პროგრამების მიხედვით და მათ ვებგვერდებზე ქვეყნდება*). ანუ **სტუდენტს, რომელსაც სურს ერაზმუსის სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობა, შეუძლია პროგრამის არჩევა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალიდან.**

#### მიმდინარე სამაგისტრო პროგრამების სია:

[https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus/library/scholarships-catalogue\\_en](https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus/library/scholarships-catalogue_en)

N.B. გაითვალისწინეთ, რომ სიის განახლება ხდება ყოველი წლის შემოდგომაზე!

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე სულ მცირე ორ ევროპულ უნივერსიტეტში (ევროპის შიგნით მგზავრობის ხარჯებს პროგრამა ანაზღაურებს).

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა შეიძლება იყოს 120, 90 ან 60 ECTS კრედიტი, შესაბამისად სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს ერთ და ორ წელს შორის.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ან ერთობლივი (Joint Degree), ან მრავლობითი (Multiple Degree) აკადემიური ხარისხი. საზღვარგარეთ მიღებული აკადემიური ხარისხების აღიარების პროცესს საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) ახორციელებს.

#### კონკურსში მონაწილეობის წესები:

ერთ აპლიკანტს ერთდროულად შეუძლია განაცხადის გაგზავნა მაქსიმუმ სამ პროგრამაზე. აპლიკანტი განაცხადს აგზავნის პირდაპირ პროგრამის მაკოორდინირებელ უნივერსიტეტში. წინასწარ უნდა დაადგინოთ ყველა დეტალი სწორედ მაკოორდინირებელ უნივერსიტეტთან, რამდენადაც კონკურსის წესები შეიძლება პროგრამების მიხედვით განსხვავებული იყოს.

#### დაშვების პირობები:

ერაზმუსის სამაგისტრო პროგრამაზე მიიღება იმ პირთა სააპლიკაციო განცხადება, რომლებსაც უკვე მოპოვებული აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ზოგი პროგრამა უშვებს გამონაკლისს და ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისგანაც იღებს განაცხადს. თუ თქვენ უკვე გქონდათ მაგისტრატურის საფეხურზე მიღებული ერაზმუსის სტიპენდია, ან ევროკავშირის სხვა სახის დაფინანსება, ამ პროგრამაზე არ დაიშვებით.

ინფორმაცია საბუთების შესახებ (მინიმალური მოთხოვნა):

- CV (გირჩევთ გამოიყენოთ Europass ფორმატი)
- უკვე მიღებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთი ან ცნობა სტუდენტობის შესახებ - *გააჩნია პროგრამის მოთხოვნებს*
- ენის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი, სულ მცირე B2 დონის - *მაგრამ რეალურად კონკურენციის გათვალისწინებით C1*
- სამოტივაციო წერილი
- სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ:

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტი იღებს სტიპენდიას (1000 Euro თვეში). პროგრამა ასევე ფარავს სწავლის საფასურს, ვიზის, დაზღვევის და მგზავრობის ხარჯებს.

რას უნდა მიაქციოს ყურადღება აპლიკანტმა:

- მიუხედავად საერთო მახასიათებლებისა, ყველა პროგრამას აქვს ინდივიდუალური მოთხოვნები - აუცილებლად გადაამოწმეთ დეტალები პროგრამის ვებგვერდზე. დამატებით მიმართეთ პროგრამის საკონტაქტო პირს.
- აპლიკანტების მიღება პროგრამაზე ცხადდება ორჯერ - ერთხელ სტიპენდიის მაძიებელთათვის და ერთხელ მათთვის, ვისაც სტიპენდია არ სჭირდება. Deadlines არის განსხვავებული და ეს არ უნდა აგერიოთ.
- ჩვენ ვერ/არ გამოვაქვეყნებთ ჩვენს ვებგვერდზე ყოველი ცალკეული სამაგისტრო პროგრამაზე საბუთების მიღების ვადებს (100-ზე მეტი პროგრამა), ასე რომ თავად აპლიკანტებმა უნდა ადევნონ თვალყური მათთვის საინტერესო პროგრამების ვებგვერდებს.
- როგორც წესი, მიღება ცხადდება შემოდგომაზე, საბუთების მომზადებისათვის სამი-ხუთი თვეა, საბუთების წარდგენის ვადები - გვიანი შემოდგომა, ან მომდევნო წლის იანვარი-მარტი. შეტყობინება სტიპენდიის მიღების შესახებ - ყველაზე გვიანი მაისში. სწავლა იწყება აგვისტო-ოქტომბერში (გააჩნია პროგრამას)



სასარგებლო ბმულები:

- სტუდენტებისათვის <http://erasmusplus.org.ge/ge/for-students>
- ზოგადი ინფორმაცია EMJMD-ის შესახებ [http://ec.europa.eu/education/opportunities/higher-education/joint-master\\_en.htm](http://ec.europa.eu/education/opportunities/higher-education/joint-master_en.htm)